სახალხო გაზეთი

№ 536 სამშაბათი, 28 თებერვალი 1912 წ. № 536

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთ 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთ თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. **ცალკე № ყველგან 5 კ.**
,, ,, თვეში — 75 კ. **დამატებიანი 7 კ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამით ვაცხადებთ, რომ

„სახალხო გაზეთს“

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის წიგნის მაღაზიისა** და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის“ კანტორიდან არ იწერს გაზეთს— პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი-პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

სურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) **მიიღებენ სალიტერატურო კრებულს** გრდემლს.

1 მარტიდან წლის ბოლომდე ღირს 7 მ. 50 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

ჯაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

გამოვიდა და იყიდება
ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების
წიგნის მაღაზიაში
ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების
სალიტერატურო კრებული
გრდემლი
ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.17)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება

აცხადებს, რომ სალიტერატურო კრებულ „გრდემლის“ მეორე წიგნისთვის

მასალები მიიღება მარტის ბოლომდე.

კრებულის გამოცემა განზრახულია სამაისოდ.
მისამართი: ოლგის ქუჩის შესახვ. № 5 გ. რცხილაძეს. (10.1124.5)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება

◆ **შეუდგა ბესარიონ გაბაშვილის ბესიკის თხზულებათა** ◆ გამოცემას. წიგნი სივრცით 200 გვერდამდე იქნება და გამოვა ნაალდგომევს. წინასწარის ხელის-მოწერით წიგნი ღირს 40 კაპ. ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ წიგნის გამოსვლამდე 1) წერა-კითხვის საზოგადოების ტფილისის წიგნის მაღაზიებში და 2) „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. წიგნის გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება. (20—1125—5)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო
ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქ-ქალთა ავ. (ქირურგიული)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ელექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann რჩევისათვისა 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **,,606'' წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—279)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

— ქართული თეატრი —

მრუდე სარკე

საღამო სიცილისა, საღამო მხიარულებისა, საღამო მეგობრული შარჟისა.

პირველათ მხიარულ ქართველებთან **კვირას, 4 მარტს** საზოგადოებას ეძლევა შემთხვევა უსაზღვროთ იმხიარულოს. (2 1133—1)

ახალი კლუბი
ოთხშაბათს 29 თებერვალს
მასკ-ფესტიანი ლოტო. (2—1119—1)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**
შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა. № 10 ტელეფ 792. (თ. 100—1534—100)

მარტის პირველ რიცხვებიდან
კვლავ გაიხსნება
ფართედ დაყენებული
კაფე-პარიზი
ქართველთა თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა.
(თ.—1132.1)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქუჩაზე, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

ბოჟოვსკი. ორშ., ოთხშ., პარასკ., კვირ. 4—5 საათ.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ, 11 ს.

მონსე. ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

კალამკაროვი. ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

გრეიცი. თვალისა, 1—2 საათამდე.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

რიდელი. შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია. ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.

რუდენკო. შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ბაგდოევისა, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. 10—1 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ ,,606''-ს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის თაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპნა და კატეტერიზაცია. (თ. 1032—56).

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 114)

ექიმი პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.55).

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—51.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 86).

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა ,,606 -'' (წლ. 1090 282)

ექიმი ქ. ქუთაისი. იროდიონ ამბროსის ძე ცეხანოვსკი
ღებულობს შინაგან საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავადმყოფებს დილის 10—12 და საღ. 5—7 ს., ქარავან-სარაის და მიხაილოვის ქ. კუთხე სასტუმრო ,,ლონდონი''. (თ.—1129—2).

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი კბილისა იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი
მიიღებს დილით **9-დან 2-მდის** და საღ. 4-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხავს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. № 7. (50--1552-42)

ექიმი დ. სურამში აპოლონ ლუკას ძე ტყემალაძე
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—125—10)

ექიმი ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე, ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—106).

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.
მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—249—8)

საგურთალოზე
მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 243)

გამოცდილმა მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის **აგრეთვე გააგრძელებს მიღებას. სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъезда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.98)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ზაკავკაზ. რეჩი“ კმაყოფილი არ არის ჩვენის წერილით სათავად-აზნაურო საქმეების შესახებ, თუმცა, როგორცა სჩანს, არავითარი საბუთი არა აქვს უკმაყოფილებისთვის. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ აბისელი და იმის მსგავსი მწერლები დეპუტატთა საკრებულოს ღვიძლი შვილნი არიან, აღვნიშნეთ, რომ სწორედ ეს გარემოება შეუძლებლად ჰხდის მათთვის **პრინციპიალურ** უთანხმოებას. რა ღა დარჩენიათ ამის შემდეგ იმის მეტი, რომ მხოლოდ კერძოდ მესვეურებზე მიიტანონ იერიშები, ბოროტება მხოლოდ მათში დაინახონ და არა თვით თავად-აზნაურთა საერთო სულიერ განწყობილებაში, რომელიც საბოლოვოდ ასაზრდოებს თვით დეპუტატთა საკრებულოსაც. აა, ეხლაც „ზაკ. რეჩი“ გვიპასუხებს:

> თავად-აზნაურთა თანხების წესიერი განაწილება საერთო სასარგებლო საქმეებისათვის, რაზედაც ვსწერთ არა მარტო ჩვენ, არამედ ,,სახალხო გაზეთი''-ც, დამოკიდებულია არა იმდენად თავად-აზნაურობაზე, რამდენადაც იმაზე, ვინც ამა თუ იმ მომენტში თავად-აზნაურობის საქმეების სათავეში სდგას.

უპირველესად ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ეს შემცდარი აზრია. მართალია, დეპუტატთა საკრებულო წინდაწინვე ანაწილებს ხარჯებს, მაგრამ ვინ უშლის თავად-აზნაურობას კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს ეს მოქმედება და ფულების განაწილებას ისეთი მიმართულება მისცეს, რანაირიც თვით მას მიაჩნია სასარგებლოდ? ვინ დაადასტურა ხმის უმრავლესობით წარსულ კრებაზე პროვინციის პროგიმნაზიების სუბსიდიები? განა თავად-აზნაურობის ხელთ არ იყო საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტა? მაგრამ უმრავლესობა ამ პროგიმნაზიების მომხრე აღმოჩნდა. ასევე შეიძლება ითქვას სხვა საკითხზედაც. მეორეც, როდესაც ამბობთ, რომ „ისინი ემსახურებიან პირთ და არა საქმესაო“, კიდეც უნდა დაამტკიცოთ. სანამ ეს დამტკიცებული არ იქნება, „ზაკ. რეჩ“-ის სიტყვებსაც ყინულზე დაწერილ ბრალდების მნიშვნელობა ექნება. დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ის, ვინც ყველა ბოროტებას მხოლოდ კერძო პირებში ხედავს და საზოგადოებრივ საკითხების გამორკვევის დროს ლაპარაკობს არა თვით საქმის ავ-კარგიანობაზე, არამედ მხოლოდ კერძო პიროვნებაზე, როდესაც პრესის ყურადღების ცენტრი მიქცეულია არა **მოქმედების** დაფასებაზე, არამედ ამა თუ იმ პიროვნებაზე, მაშინ კამათსაც **საზოგადოებრივი ინტერესი** ექნება.

ჩვენც მხოლოდ ეს აღვნიშნეთ და ვურჩიეთ, თავი დაენებებინათ ამ ვულგარულ კამათისთვის და თვით საქმეზე ელაპარაკათ, თუ აქვთ რაიმე სათქმელი. ამას უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება საქმისთვის. მაგრამ ვეჭვობთ, ან „ზაკ. რეჩმა“, ან „ზაკავკაზიემ“ მოახერხონ ამ საზოგადოებისთვის საინტერესო პოზიციაზე გამაგრება. ერთსაც და მეორესაც აინტერესებს არა იმდენად საზოგადოებრივი საქმეები, რამდენადაც პირად ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოება.

ჩვენთვის ამ კამათს არავითარი ფასი არა აქვს. აღვნიშნეთ იგი მხოლოდ იმიტომ, რომ მკითხველისთვის დაგვენახვებინა, რანაირად კამათობენ, რანაირად უმასპინძლდებიან ერთმანეთს ეს „ქართული გაზეთები“.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები.

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობდა.

განსახილველია მეთევზეობის საყოველთაო წესდების შეცვლის კანონპროექტი.

მომხსენებელი ზუბკოვი. რადგან მეთევზეობისათვის რუსეთში არ არსებობს გარკვეული წესები, ამიტომ ეს საქმე ვერა ხეირობსო. მთელი იმპერიისათვის საჭიროა გამოიცეს ერთი წესდება, რომელიც უნდა ეხებოდეს მებადურობის დროის განსაზღვრას და სხვა და სხვა ზომების მიღებასა. ეს საქმე უნდა გადაეცეს ადგილობრივ მცხოვრებთ და ადგილობრივმა თვითმართველობამაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. მეთევზეობის რაიონებში უნდა დაარსდეს საგუბერნიო კომიტეტები და სათევზე საქმის საბჭოები.

ვინოგრადოვს კომისიის პროექტი დიდ საქმედ მიაჩნია. თუმცა ზოგიერთი ნაკლი აქვს, მაგრამ შედარებით მაინც დიდ სარგებლობას მოიტანსო.

ვოლკოვმა მე-2 შეიტანა წინადადება მეთევზეობის საქმის სრულის რეორგანიზაციისა. საჭიროა მთავრობის მთავარი სამმართველო მეთევზეობის საქმისა გადაიქცეს ისეთს დაწესებულებად, რომელსაც სამეცნიერო და სატეხნიკო ხასიათი ექნებაო. იგი არ უნდა ისაზღვრებოდეს მხოლოდ ადმინისტრაციით და უნდა სცდილობდეს მეთევზეობის სატეხნიკო მხრის გასაუმჯობესებლადაო.

შილო აღნიშნავს, ევროპის რუსეთში თევზის ნაკლებლობაა. შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის მეთევზეობა იაპონელთა სინდიკატების

ხელშია. ამ სენთან საბრძოლველად საჭიროა ამურის ნიკოლაევსკში დაარსდეს სახელმწიფო ბანკის განყოფილება, რათა რუსის მრეწველებმა შესძლონ იაპონელთა სინდიკატებს მეტოქეობის გაწევა.

ფავორსკი მოითხოვს წვრილ მეთევზეთა მრეწველობისათვის დახმარებას; საჭიროა მარტო მრეწველთა უზრუნველყოფა კი არა, არამედ სათევზაო ადგილების პატრონთა ინტერესების დაცვაც. საქმეს მხოლოდ მაშინ ეშველება, თუ მეთევზეთა ამხანაგობებს დაარსებთ.

ზუბჩანინოვმა შეიტანა ფორმულა, რომელიც მიწადმომწყობის მთავარ სამმართველოს მეთევზეობის საქმეში მოქმედებას იწონებს.

მიწათმომწყობ მთავარ გამგეობის უფროსის თანაშემწეს გრაფს იგნატიევს მოსწონს კომისიის მიერ ამორჩეული გზა. წინამდებარე პროექტი შეძლებას მოგვცემს ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლებთან ერთად შევიმუშაოთ წესები და ამნაირად ხელი შევუწყოთ მეთევზეობის საქმის წარმატებასაც. ამიტომ გრაფი იგნატიევი თხოულობს მუხლობრივ განხილვას, რაიც სათათბირომ შეიწყნარა.

ერემინმა ბევრი ილაპარაკა პირველ მუხლის თაობაზე, რომელიც ეხება მეთევზეობის წესდების მთლად რუსეთზე გავრცელებას. ერემინი წინააღმდეგია საერთო წესდების ურალის ოლქში შემოღებისა, რადგან იქ საქმე თავისებურად და კარგად არის მოწყობილი, ხალხიც მტრულად შეჰხვდება ახალ კანონსაო.

მიწათმომწყობ მთავარ გამგეობის უფროსის თანაშემწე გრაფი იგნატიევი ეთანხმება ურალი ოლქის წარმომადგენელს, მხოლოდ დასძენს, ახალი კანონი ურალის მკვიდრთ არა ჰზღუდავს და არც უფლებებს ართმევსო.

ბარიბინი კასპიის მეთევზეობის თვალსაზრისით ამტკიცებს, უეჭველად საჭიროა ურალის ოლქშიაც ისეთივე სათევზაო წესები შემოიღონ, რანაირიც დანარჩენ რუსეთში იქნებაო. ბარიბინს მიემხრო ორენბურგის ყაზახების წარმომადგენელი **შემეტოვი**.

ტომილოვი აღნიშნავს, ერემინის შესწორება ურალის ყაზახობის ანგარებით აიხსნებაო.

ერემინი ამტკიცებს, ურალის მეთევზეობა განცალკევებულად უნდა დარჩეს, რადგან ამ უფლებას თვით ხელმწიფე იმპერატორი დაჰპირდა ყაზახებსაო.

მომხსენებელი ზუბკოვი კომისიის რედაქციას იცავს. ერემინის შესწორება უარჰყვეს და პირველი მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს.

მეორე მუხლის განხილვა სხვა დროისათვის გადასდეს.

მეორე განყოფილების უმეტესი მუხლები, რომელიც ეხება თევზის გაჩანაგებისაგან დაფარვას, უკამათოდ მიიღეს. მე-9 მუხლი ამ განყოფილებისა ყველას უკრძალავს სათევზაო ადგილებში იმისთანა ნივთიერების ჩაყრას, რომელიც თევზისთვის მავნებელია. გამონაკლისი შეიძლება მოახდინონ მეთევზეობის ადგილობრივ წესდების ძალით.

ზუბკოვი აღნიშნავს, ძალიან ძნელია წყლის მოწამვლის საკითხის გადაწყვეტა, რადგან საქმე ხალხის ჯანმთელობას ეხებაო და ამბობს, მე-9 მუხლი გამოვსტოვოთ და საკითხი გადასაწყვეტად ადგილობრივ კომიტეტებს გადავცეთო.

კარიაკინი და დმიტრიუკოვი ოქტომბრისტების სახელით ზუბკოვის წინადადებას მიემხრნენ. მუხლის გამოტოვებას დაჟინებით მოითხოვენ **ტიმოშკინი, ანდრეიჩუკი, ვოლკოვი მე-2, ტომილოვი, ფავორსკი, კრივცოვი, პეტროვსკი და ვორონინი.** წყლის მოწამვლასაო,—ამბობენ ისინი,—ხალხის ჯანმრთელობისათვის ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს და ამ ბოროტებას უნდა ვებრძოლოთო. კენჭის ყრით მუხლის პირველი ნახევარი კომისიის რედაქციით მიიღეს, მეორე უარჰყვეს. **ზუბკოვის წინადადებაც მოიწონეს.**

შემდეგი სხდომა ორშაბათს მოხდება.

სახელმწიფო საბჭო

გოლუბევი თავმჯდომარეობს. იხილავენ პროექტს სამოქალაქო სამართლის წარმოების წეს-დებულების დადგენილებათა შეცვლისა და სანოტარიუსო ნაწილის დებულებისას.

უკამათოდ მიიღეს კომისიის რედაქციით ის მუხლები, რომელნიც მომრიგებელი მოსამართლის უფლებათა და მომრიგებელ სასამართლოებში სამართლის წარმოების წესს აღნიშნავენ.

მე-29-ე მუხლის განხილვის დროს მიიღეს **საბუროვის** შესწორება მომრიგებელ მოსამართლეთა უფლების შეზღუდვის შესახებ. სათათბიროს ყველა დამატებითი მუხლები უარჰყვეს. შემდეგ მთავრობის პროექტის რედაქციით მიიღეს 161-ე მუხლი.

სხდომა დროებით შესწყვიტეს.

სხდომის განახლების შემდეგ რამოდენიმე უმნიშვნელო შესწორებით მიიღეს პროექტის დანარჩენი მუხლები.

შემდეგი სხდომა მოხდება 27 თებერვალს.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ქალაქის მოურავის მოადგილის თანამდებობაზე** ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კერძო თათბირზე, რომელიც 26 თებერვალს იყო, გამგეობის წევრების თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა და გ. დ. ჟურულის კანდიდატურა დაასახელეს.

✦ **მოსკოვის სახალხო ბანკის** განყოფილების დაარსების თაობაზე 26 თებერვალს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შენობაში კრება ჰქონდათ სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულების წარმომადგენლებს. თავ. გ. მ. თუმანოვმა კრებას წარუდგინა ბანკის განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვა. რომელიც ნაანგარიშევია 14,000 მან. გამოირკვა, რომ ტფილისში 70 აქციაზე მოუწერიათ ხელი, ხოლო ბაქოში 80 აქციაზე სულ საჭიროა 200 აქცია. გასასაღებელია კიდევ 50 აქცია. თითო აქცია, როგორც წინადაც ვწერდით, 250 მან. ღირს. კრებამ დაადგინა, ტფილისში აუცილებლად გახსნას სახალხო ბანკის განყოფილება, და ზომები მიიღოს დარჩენილ 50 აქციის გასასაღებლად.

✦ **ფრენა.** 26 თებერვალს დიდუბის საჯირითო მოედანზე ფრენა გაიმართა, რომელშიაც მხოლოდ მფრინავმა აგაფონოვმა მიიღო მონაწილეობა. ბ-ნი აგაფონოვი სულ ექვსჯერ გაფრინდა. ამათში სამჯერ მგზავრით იფრინა. საინტერესო იყო ფრენა მგზავრით—მსახიობ ქალის სიალსკით. ამ ფრენამ 22 წამს გასტანა. მფრინავი მოედნის გარედ გამოვიდა, ავიდა მაღლა და ქალაქს რამდენჯერმე შემოუარა. ამ დროს ვიღამაც ჰაერში საბავშვო ბურთი („შარ"-) აუშვა წერილით, რომლის დაჭერაც ბ-ნმა აგაფონოვმა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. მფრინავი ხალხმა ხანგრძლივ ტაშისცემით დააჯილდოვა.

✦ როგორც შევიტყეთ **ექიმ მიხეილ გედევანიშვილს,** რომელსაც წ. გ. ს. ნება დართო გამოსცეს ჩვენი დიდებული მწერლის და მგოსნის ილია ჭავჭავაძის თხზულებანი განსაკუთრებულის სახით, განზრახული აქვს შემდეგ გამოსცეს იმავე სახით სხვა ჩვენი კლასიკების ნაწარმოებნი. პირველ რიგში გამოიცემიან: **ბარათაშვილისა, რ. ერისთავისა, ყაზბეგისა, და ნინოშვილის** თხზულებანი.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრი ნ. პ. ქოქჩაევი** თანამდებობას თავს ანებებს ავადმყოფობის გამო. საბჭოს ხმოსნებმა კერძო თათბირზე თანახმობა განაცხადეს, ბ-ნ ქოქჩაევს 3,600 მან. მიეცეს ერთდროულ დახმარებად.

✦ **მტკვარში დახრჩობა.** 26 თებერვალს 4 საათზე, დუშეთის მაზრის სოფელ თელეთის მცხოვრებ ქალის მარიამ დიმიტრის ასულ ნარგიზოვის შვილი-ვასილი (11 წლისა) გაუფრთხილებლობით ვორონცოვის ხიდთან მტკვარში ჩავარდა და დაიხრჩო.

✦ **ქართული საფილარმონიო საზოგადოება** უკვე შეუდგა მზადებას ქართულ კონცერტის გამართვიდან 25 წლის აღსანიშნავ დღესასწაულისათვის.

✦ **წვრილ კრედიტის** ინსპექტორი ვ. ლ. ვიფორსი სრულიად რუსეთის წვრილ კრედიტის მოღვაწეთა კრებაზე იგზავნება წარმომადგენელად.

✦ 25 და 26 თებერვალს ტფილისში 133 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ 25 თებერვალს. დილის 9 საათზე, მტკვარში ორთაჭალისაკენ დამხრჩვალის კაცის გვამი იპოვეს. უცნობი აღმოჩნდა ოჰანეს ავაქას ძე ისკანდარიანცი.

✦ 26 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, ელისაბედის ქუჩაზე, მდედრობითის სქესის ბავშვი იპოვეს, დაახლოვებით ორის კვირისა. ამავ დღეს წყნეთის ქუჩაზე მამრობითის სქესის ბავშვი იპოვეს, დაახლოვებით სამის თვისა. ბავშვები ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

✦ 26 თებერვალს, თავის მოკვლის განზრახვით კარბოლის სიმჟავე დალია პარალელნი ქუჩაზე მცხოვრებმა დარია ნიკოლოზის ასულმა შალამოვმა, რომელსაც სამკურნალო დახმარება აღმოუჩინეს მიხეილის საავადმყოფოში და სიკვდილს გადაარჩინეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ახალ კლუბის** წევრთა საზოგადო წლიური კრება 26 თებერვალს მოხდა ნაფიც ვექილის თავ. ვარლამ გელოვანის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა და დაამტკიცა კლუბის წარსული წლის მოქმედების ანგარიში და მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ბ-ნ პ. გოთუას წინადადებით კრებამ სურვილი გამოსთქვა, კლუბის მთელს შემოსავლის 3% პროცენტი საქველმოქმედო საქმებს მოხმარდეს. საკითხი კლუბის წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ და თანამდებობის პირთა არჩევნები 27 თებერვლისათვის გადაიდო.

ქუთაისი.

✦ განსაკუთრებული კომისია, რომელიც შესდგება სხვა და სხვა წოდების წარმომადგენლებისაგან, ამ გაზაფხულზე საბოლოოდ გამოარკვევს საკითხს ქუთაისის გუბერნიაში **საყოველთაო სწავლის შემოღებით** სოფლის ეროკლასიანი სკოლისათვის გადაიდება თითოზე 390 მან. ქალაქებში—600 მან.

✦ სოფ. ქორეთში 20 თებერვალს თოკით **თავი ჩამოუხრჩვია** მოსე ფარქოსაძის ცოლს.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა **ნამესტნიკის ცირკულიარი,** სადაც ნათქვამია: ქალაქის საბჭო ხარჯთ-აღრიცხვას პირველ ივნისამდე უნდა იხილავდესო. („კოლხ.")

ბათომი.

✦ **წვრილი კრედიტის** სამმართველომ ნება დართო გაიხსნას **საკრედიტო ამხანაგობანი** ქუთაისის მაზრის სოფლებს ცხუტში, დიმში და წყალტუბოში, ოზურგეთის—ნიგოითში; სენაკის—ნოსირში და ლეჩხუმისა—ცაგერში.

✦ **ექსკურსია.** პეტერბურგის საერობო საოსტატო სკოლის გამგე სთხოვს ქალაქის გამგეობას, რომ ამ სკოლის მოსწავლეთა ექსკურსიას რიცხვით 60 კაცს, რომელიც ჩამოვა ბათუმში 7 ივლისში, უფასოდ დაუთმოს ბინა.

✦ **ცემენტის ფასი.** ბათუმში და ფოთში ათი ფუთიანი ბოჭკა ცემენტი ღირს 4 მან. და 50 კ.

✦ **ნამესტნიკის** კანცელარიის დირექტორი სთხოვს ბათუმის სამხედრო გუბერნატორს აცნობოს მას, რუსის და სხვა ტომთა მცხოვრების რიცხვი ბათომში და აგრეთვე რუსის და სხვა ტომთა ამრჩევლების რიცხვი ქალაქის საბჭოში. („ბ. გ.")

კორექტორის შენიშვნა.

დღევანდელ ნომერში მოთავსებულია ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოს დავითის სამადლობელი წერილი, იმ პირთა მიმართ, რომელთაც შუამთის მონასტერს წყლის გასაყვანად თავისი წვლილი შესწირეს. სამწუხაროთ რამდენიმე ნომერი დაისტამბა ისე, რომ ამ სამადლობელ წერილს ყოვლად სამღვდელო დავითის სახელი არ აწერია.

არჩევნები დიდუბეში

(მნათისა და ეკლესიის სამზრუნველოს წევრებისა).

26 თებერვალს, კვირას დიდუბის საკრებულო ტაძრის კრებულმა აირჩია მნათე, მისი თანაშემწე, 12 წევრისაგან შემდგარი სამზრუნველო, 5 სარევიზიო კომისიის წევრი და ორიც მრევლის წარმომადგენელი. არჩევნებს ხელმძღვანელობდა ბლაღოჩინი მირიანაშვილი და სინოდალური კანტორიდან საგანგებოდ არჩევნებზე დასასწრებლად დანიშნული ტფილ. სას. სემინარიის რექტორი. იყვნენ რასაკვირველია წესიერების დამცველნიც. არჩევნების მოწესრიგებას შეუდგნენ შუა დღის 12 საათზე და დაასრულეს 5 საათზე. ბლაღოჩინმა წაიკითხა მრევლის სია. სიის კითხვა და შემოწმება თითქმის სამი საათი გაგრძელდა. როცა ყველა დამსწრე ხმოსანი ტაძარში მოათავსეს, ტაძრის კარები დაკეტეს და შეუდგნენ არჩევნებს. დაესწრო 21 რუსი, 124 ქართველი. როგორც კიცით ეს არჩევანი მეორედ იყო დანიშნული.

პირველ არჩევნებზე დაესწრო 48 რუსი და რაკი დაატყვეს რომ თავიანთ კანდიდატებს ვერ გაიყვანდნენ კრება დემონსტრატიულად დასტოვეს და ბრალი ქართველებს მოსდეს. ეხლაც ისევ ისეთივე ხერხს მიმართეს.., ჯერ კრების უკანონობაზე ჩამოაგდეს სიტყვა მაგრამ რექტორმა აღიარა რომ დღევანდელი არჩევნები კანონიერად ჩაითვლებაო. მერმედ რუსებმა წამოაყენეს ყველა ასარჩევ პირთა თავისიანების სია. მნათედ დაასახელეს პავლოვი, რომელიც ამ ეკლესიის მრევლი არც კი ყოფილა და არც კრებულთაგანი ვინმე იცნობს. რაკი ამ რიგად პავლოვის კანდიდატურა არ გავიდა, ქართველებმა წამოაყენეს რუს **გორიდის** კანდიდატურა რომელსაც მიემხრო ოც კაცამდე ქართველი და არც ერთი რუსი, რაზედაც რუსების რექტორმა კიდეც უსაყვედურა. შემდეგ დაასახელეს ბ. ოკუჯავა რომელსაც მიემხრო 60 კაცი, ქართველი. ოკუჯავას შემდეგ წამოაყენეს ბ-ნი [illegible], რომელსაც მიემხრო ყველა ქართველი და სამი რუსი.—

გაგულისებულმა რუსებმა ამის შემდეგ არჩევნები დასტოვეს. (კრებაზე დარჩა მხოლოდ სამი). რაკი რუსებმა არჩევნები დასტოვეს, რექტორმა ქართველებს ურჩია დანარჩენი პირების არჩევნები შემდეგისათვის გადაედოთ, მაგრამ ბლაღოჩინმა მიწერილობისამებრ ყველანი აარჩევინა. სამზრუნველოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ნაფიცი ვექილი **ვარ. გელოვანი** მის თანაშემწეთ **ნიკ. გიორგ. ქართველიშვილი** (წევრებში სამი რუსი ურევია.) მრევლის წარმომადგენლად **თავ. ფალავანდიშვილი** და **ხომასურიძე.**

აღსანიშნავია ვინმე **ბელოგის** განცხადება: თუ ვის დაამტკიცებენ ეს **მე და ეგზარხმა** კარგად ვიცითო.

მ. ჯანაშვილის ლექცია

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში ბ-ნმა მოსე ჯანაშვილმა წაიკითხა ლექცია: „ქართველთა ისტორიისა და მის წყაროების საზოგადო განხილვა".

გამოსვლისთანავე ბ-ნმა ჯანაშვილმა გვაუწყა, მოსახსენებელი ბევრი გამოვიდა და შეიძლება ყველაფრის თქმა ვერ მოვასწროო. მართლაც ლექტორმა პროგრამის მხოლოდ ნახევრის განმარტება მოასწრო.

„ქართლის ცხოვრება" ეხლა ძლიერ სანდო წყაროდ აღარ არის აღიარებული და ამიტომ მოხსენებას ახალ მასალაზე და უცხო ერთა ისტორიკოსების ცნობებზე დავამყარებო. ქართველ ერს თავისი სიცოცხლე მცონარეობაში არ გაუტარებია, უმუშავნია და ბევრი საგულისხმო რამ შეუქმნია. ჯერ აღსანიშნავია ქართველობის ქრისტიანობის ძლიერ ადრე მიღება. წმ. საბას მოწმობით, ქართველებს უკვე მე-5 ს. სცოდნიათ ლიტურგია და სხვა საეკლესიო წესები. ეს ფაქტი ნათლად ჰმოწმობს, რამდენად განვითარებული უნდა ყოფილიყვეს ქართული ენა, რომ მე-5 საუკუნეში გადათარგმნილი ყოფილა საეკლესიო წიგნები. მე-6-7 საუკუნეებში ჩნდება საისტორიო მასალები, სიგელ-გუჯრები და სხვა. აგრეთვე დარჩენილია ვახტანგ გორგასლანის ფული, მისი სახელის წარწერით. სახელმწიფო წესწყობილება ძველადვე იყო განვითარებულ დამყარებული მტკიცედ. ადრევე განვითარებულა საქართველოში აღებ-მიცემობა, ვაჭრობა. ქსენოფონტეს სიტყვით, ქართველთა ტომს, კოლხებს, ძლიერ განვითარებული ვაჭრობა ჰქონია. განსაკუთრებით განთქმული ყოფილა კოლხების თაფლი. მოსინიკები, ანუ ეხლანდელ მესხები, ადრევე მისდევდნენ ხვნათესვასა და ხის კოშკები ჰქონდათ. კავკასიაზე მიდიოდა სხვა ერთა სავაჭრო გზაც. აპოლონ როდოსელის

ქართველი დიონისე და ესთეტიური კრიტიკა

> ...მაგრამ ეს ყველასათვის შესაძლებელი როდი არის! ყველას არა აქვს ამისი უნარი და ნიჭი.
>
> **მ. წულუკიძე.**

ამ ორი-სამი კვირის წინად გაზეთ „თემში" დაიბეჭდა ერთი მეტის-მეტად ახირებული ხასიათის „მოხსენება" ბ. მიხეილ წულუკიძისა, რომელიც ავტორს 16 იანვრის სალიტერატურო საღამოზე წაუკითხავს („თემი" № 57 „ესთეტიური კრიტიკის საფუძველი"). ეს „მოხსენება" იმდენად დამახასიათებელია ჩვენი დღევანდელი ცხოვრებისათვის, რომ სულზე ცოდვას ვიდებთ და მკითხველის ყურადღებას ვაჩერებთ მასზე.

ამ ბოლო დროს ჩვენს პრესაში ბევრს ლაპარაკობენ ქართულ „ლიტერატურის დაცემაზე" და მის მიზეზებს ეძებენ. ჩვენის აზრით ეს „დაცემა" მართლაც ემჩნევა ჩვენს ჟურნალ-გაზეთობას და ლიტერატურას, ხოლო უმთავრესი მიზეზი ის გახლავს, რომ გონებრივად მოუმწიფებელი ახალგაზდობა შეიპყრო ერთგვარმა მეტის-მეტად სავალალო ავადმყოფობამ, რომელსაც შეგვიძლიან „წერის ქინი" ანუ მანია ვუწოდოთ. იმას აღარ დაგიდევენ, შესწევთ თუ არა ცოდნა და ნიჭი: სწერენ სტატიებს, კითხულობენ ლექციებს და მოხსენებებს უურთულესს მეცნიერულს საგნებზე, რომელთანაც ხშირად შორეული ნაცნობობაც არ აქვთ. ეს მოვლენა მეტის მეტად სამწუხაროა. შეიძლება ადამიანი ლიტერატორად ან ლექტორად სრულიად უვარგისი, მავნებელიც იყოს, მაგრამ სამაგიეროდ სამშობლოსა და კაცობრიობისთვის სხვა რაიმე დარგში იყოს საჭირო და სასარგებლო. ჩვენი გულწრფელის რწმენით ზოგიერთი ჩვენი ქართველი „განმანათლებელი" ვეტერინარის, ფარმაცევტის, სანიტარის ან კიდევ პარიკმახერის და თანაშემწის როლში ბევრად მეტს სარგებლობას და სიკეთეს მოგვიტანს ვიდრე აუდიტორიაში და გაზეთის ფურცლებზე.

ბ. მიხეილ წულუკიძის მოღვაწეობას, როგორც „მომხსენებლისას" და „ლიტერატორისას" ჩვენ ვერ ვიცნობთ, მაგრამ როგორც მისი „ესთეტიური კრიტიკის საფუძვლიდან" სჩანს, ისიც ალბად რაიმე სამწუხარო გაუგებრობის წყალობით მოჰხვედრია იქ, სადაც არ უნდა მოჰხვედრილიყო. ეჭვს გარეშეა აგრეთვე ისიც, რომ ჩვენი ავტორი მეტის მეტად უშიშარი რაინდი უნდა იყოს, როგორც ეს მოსალოდნელიცაა ქართველ თავადიშვილისაგან. მიტომ რომ ასეთი „მოხსენების" საჯაროდ წაკითხვა და შემდეგ გაზეთის ფურცლებზე გამოფენა, მხოლოდ რაინდს შეუძლიან რაინდს უშიშარს და „სულიერ სიმთვრალით" შეპყრობილს (მისივე სიტყვებით რომ ვსთქვათ).

ამ ჩვენი შეხედულების დასასაბუთებლად საკმაოა მოვიყვანოთ რამოდენიმე ადგილი მისი წერილიდან, მთელის გარჩევა შეუძლებელიცაა. უნაყოფოც და მოსაწყენიც: ის მოკლედ რომ ვსთქვათ თავიდან ბოლომდე უაზრობაა, გაუვალი, როგორც უტეხი ტყე.

პირველსავე წინადადებაში ბრძენი ავტორი გვასწავლის, რომ „კაცობრიობის კულტურული მუშაობა, წინსვლა, მისი **პოტენციალური ძალა** (ხაზი ჩვენი გასმულია) ორ სხვა და სხვა გვარ სფეროში გამოიხატება: მეცნიერებაში და ხელოვნებაში." ამ სიბრძნის შესახებ მოვახსენებთ ბ წულუკიძეს, რომ „პოტენციალური ძალა" ნიშნავს ფარულს, ანუ ისეთს ძალას, რომელიც მხოლოდ შესაძლებლობაში არსებობს და ჯერ კიდევ არ გაშლილა. მეცნიერება და ხელოვნება კი არსებობს არა ფარულად, არა შესაძლებლობაში, არამედ აშკარად, სინამდვილეში, როგორც მეტის მეტად მოქმედნი, აქტიური კულტურული ფაქტი. პირადად ბ. წულუკიძისათვის მეცნიერება და ხელოვნება შეიძლება მართლაც პოტენციალური, ფარული ძალა იყოს იმდენად, რამდენადაც მას წარმოდგენა არა აქვს არც ერთზე და არც მეორეზე; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბრმათა უმეცრება თვალხილულთათვის არგუმენტად არ გამოდგება.

შემდეგ ჩვენ ვსტოვებთ რამოდენიმე მარგალიტს და გადავდივართ შემდეგს წინადადებაზე: „თანამედროვე ცხოვრებამ განსაკუთრებული ყურადღება ხელოვნებას მიაქცია და მეცნიერული კვლევა ძიება მეორე ხარისხოვან დარგად იცნო." ამ ფრაზაში მეტი რომ არა ვსთქვათ დიდი „გაუგებრობაა", „პოტეციონალურად" დაფარული. ვისაც ცოტათი მაინც გაეგება თანამედროვე კულტურული ცხოვრებისა, ის ეჭვს გარეშეა შეამჩნევდა, რომ ეს უკანასკნელი სწორედ მეცნიერებას აქცევს განსაკუთრებულს ყურადღებას. უკანასკნელს საუკუნეში როგორც თეორეტიულმა მეცნიერებამ ისე აღმოჩენათა ტეხნიკამ არა ჩვეულებრივი ნაბიჯი გადასდგა წინ. დღეს ჩვენ მოწმენი ვართ სპეციალურ მეცნიერებათა განსაცვიფრებელი, პირდაპირ ზღაპრული ზრდისა, რომელსაც ხელოვნებაში პარალელს ვერ მოუნახავთ. საყურადღებოა განსაკუთრებით ბუნების მეტყველების და მედიცინის პროგრესი, მაგრამ არც ეგრედ წოდებულნი „ჰუმანიტარული" მეცნიერებანი რჩებიან უკან.

პირიქით წარსული ეპოქანი, მაგ. კლასიური დროის საბერძნეთი, რენესსანსი, „ბაროკის" და „როკოკოს" ხანა, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი ხელოვნების და ცხოვრების ხელოვნურად გამშვენიერებას ბევრად მეტს ყურადღებას აქცევდა ვიდრე ჩვენი ფხიზელი, კაპიტალისტური ეპოქა. ამ ეპოქას თითქმის სრულიად არა ჰყავს ისეთი გენიოსი შემომქმედნი, როგორიც წარსულში ესქილი იყო, ან სოფოკლი, ფიდიასი ან ლიზიპოსი, დანტე ან შექსპირი, მიქელანჯელო ან რემბრანდტი, გიოეტე, ბეეტჰოვენი და სხვა და სხვა. ამას გარდა თანამედროვე ადამიანი უმეტეს ნაწილად ხელოვნებას მხოლოდ თეატრში, მუზეუმში, კონცერტის ზალაში „ეხება" გარეგნულად, მაშინ როცა ბერძენი ან აღორძინების დროის იტალიელი ხელოვნებით „სუნთქავდა", ხელოვნებით გამსჭვალული იყო მთელს თავის ყოველ დღიურს ცხოვრებაში.

არც იმის თქმა შეიძლება, რომ თითქო „თანამედროვე ცხოვრება" **ღირებულების** თვალსაზრისით ხელოვნებას უფრო მაღლა აყენებდეს და „მეცნიერულს კვლევა ძიებას მეორე ხარისხოვან დარგად სცნობდეს". ყოველი კულტურული ადამიანი იმას იტყვის, რომ ხელოვნების და მეცნიერების „ჩინოვნიკებივით" რანგებად და ხარისხებად დაყოფა უაზრობაა, რომ თავ თავის ადგილას ორივე ერთნაირად ძვირფასი და აუცილებელია.

ვსტოვებთ კიდევ რამოდენიმე მიუწოდომელ „სიბრძნეს" და შევჩერდებით იმ ადგილზე, სადაც ჩვენი „მომხსენებელი" გვამცნობს, რომ „თუ მეცნიერებაში უპირველესი ადგილი **ინტელექტს** უჭირავს, ხელოვნებაში **ინსტიქტი**, ინტუიცია არის გამეფებული". ამ ამონაწერიდან სჩანს, რომ ავტორს ინსტიქტი და ინტუიცია ერთსა და იმავე ცნებად მიაჩნია. მეორე ადგილსაც, სადაც ის სიტყვა „ინსტიქტს" ხმარობს რკალებში „განსამარტებლად" „ინტუიციას" სვამს. ბ. წულუკიძეს „ესთეტიური საფუძვლების" წერის მაგივრად ხელში ფსიხოლოგიის ელემენტარული სახელმძღვანელო რომ აეღო და გულდასმით გადაეკითხა, უეჭველია ადვილად დარწმუნდებოდა, რომ ინსტიქტსა და ინტუიციის შორის დაახლოვებით ისეთივე დიდი განსხვავებაა, როგორც მაგ. ინდოურსა და კანტს შორის. ფილოსოფია და ფსიხოლოგია ინსტიქტს ნებისყოფის სფეროს ასაკუთრებს და უკანასკნელის პრიმიტიული ფორმად სთვლის. მაგ. კანტი ამბობს: „ინსტიქტი არის შინაგანი დაძალება ლტოლვის ნიჭისა, რაიმე საგნის დასაკუთრებლად მიმართული სანამ არსება ამ საგანს შეიგნებდეს" („ანტროპოლოგია" I, 678). შოპენჰაუერის აზრით ინსტიქტი ცხოველთა მიერ რაიმე მიზნის შეუგნებლად, განხორციელებაა; შეუგნებლად. მაგრამ ამასთანავე მიზან შეწონილი მოქმედება („სამყარო, როგორც ნების ყოფა და წარმოდგენა" სხვა და სხვა ადგილას). სპენსერის შეხედულებით ინსტიქტი „რთული რეფლექსიის მოქმედებაა" („ფსიხოლოგია" § 194) კუნდტის მიხედვით ინსტიქტი „ცალმხრივად განვითარებული ლტოლვაა" და სხვა-და-სხვა. ამ ციტატებიდან მგონია საკმაოდ სჩანს, რომ მეცნიერების შეხედულებით ინსტიქტი შეუგნებელი ლტოლვაა, ნებისყოფის ნაკლებ განვითარებული ფორმა. ის უფრო ძლიერია ცხოველებში და ველურს ადამიანებში.

რაღა არის ინტუიცია? თუ ადამიანის ფსიხიკაში. არსებობს ისეთი სფერო, რომელიც სრულიად დაშორებულია ინსტიქტს, ეს უეჭველად ინტუაციაა. ცხოველები რასაკვირველია სავსებით მოკლებულნი არიან მას: ინტუიცია ადამიანური გონების უზენაესი ფორმაა. ის არის ჭეშმარიტების შეგნება ანუ უკეთ ვსთქვათ „დანახვა" უშუამავლოდ, დისკურსიულ მსჯელობათა და დასკვნათა დამოუკიდებლად. მაგალითად, იმ ჭეშმარიტებას რომ პირდაპირი ხაზი უმოკლესი სიშორეა ორს წერტილს

სიტყვით, ქართველი ტომები ფოლადის სახნისსაც ხმარობდნენ. მაგრამ განსაკუთრებით განვითარდა ჩვენში ხუროთმოძღვრება. ზოგი ამბობს, იგი ბიზანტიურ-გოთთა ხუროთმოძღვრებასა ჰგავსო. ზოგიერთნი ამტკიცებენ, ხუროთმოძღვრება ქართველებს პირდაპირ გადმოუღიათ სომხებისაგანაო. მაგრამ ისტორია ამას უარჰყოფს. სომხეთა ხუროთმოძღვრების ნაშთები ან ქართველთა თანადროისანი არიან, ან უფრო გვიანის დროისა. საზოგადოდ ქართველთა ხუროთმოძღვრება აკვირვებს თავის მშვენიერებით ევროპის სწავლულთ. ლექტორმა დაასახელა რამდენიმე ტაძარი და მონასტერი თავის აზრის დასამტკიცებლად, მაგ. ბაგრატის ტაძარი ქუთაისში.

ძლიერ სასიამოვნოა ასეთის ლექციების კითხვა სახალხო სახლში. მხოლოდ საჭიროა ყოველი ლექცია განსაზღვრულ ხანას ახასიათებდეს, რომ მსმენელებზე მთლიანი შთაბეჭდილება მოახდინოს. ამისთანა ლექციებს ხალხიც დიდის სიამოვნებით დაესწრება. მრავლად თავმოყრილმა ხალხმა ტაშისცემით დააჯილდოვა პატივსაცემი ლექტორი. საჭიროა, ლექტორთა რიცხვის გამრავლება. ნეტავი, სად არიან ჩვენი ინტელიგენტები?

„ეროვნება და ნაციონალიზმი“

(ლისოვსკის ლექცია).

ძლიერ საგულისხმო ლექცია წაიკითხა შაბათს, 25 თებერვალს, სახაზინო თეატრში ბ-ნმა ლისოვსკიმ. თვით თემა ლექციისა საგულისხმო იყო ყველასათვის და განსაკუთრებით ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფ ერისათვის. ამიტომ დიდძალ ხალხის მოსვლას მოველოდით. მაგრამ თეატრი თითქმის ცარიელი იყო. ღირდა კი ლისოვსკის ლექცია მოსასმენად, მით უმეტეს, ლექტორი ტკბილად და სადად ლაპარაკე ადამიანია.

ბ-ნმა ლისოვსკიმ აღნიშნა სიძნელე ეროვნულ საკითხის გადაწყვეტისა. უთვალავი, აუარებელი თეორია, აზრი და შეხედულება, ზოგჯერ ერთი ერთმანეთის საწინააღმდეგო, შეუქმნიათ ეროვნულ საკითხის გამო, რომელიც განსაკუთრებულის სიძლიერით მეცხრამეტე საუკუნის შუა წამოიჭრაო.

ლექტორის აზრით, ეროვნებას სამი ნიშანდობლივი ელემენტი ახასიათებს: საეთნოგრაფიო, საისტორიო და საპოლიტიკო. საეთნოგრაფიო ელემენტი არის ერთტომობა, ერთის რასის ჩამომავლობა. მართალია რასები ერთმანეთში აირეოდნენ ხოლმე, გაითქვიფებოდნენ და ამიტომ წმინდა, შეურეველი რასა არც კი არსებობს, მაგრამ საეთნოგრაფიო თვისებანი მაინც ნიშანდობლივი თვისებაა; საისტორიო ელემენტს შეადგენს საერთო ცხოვრება წარსულში, საერთო ჭირ-ვარამი და განსაცდელ-სიხარული; ისტორიის ელემენტი გამოისახვის რამდენისამე ხალხის შეერთებით, სახელმწიფოს დაარსებით. ამ სამს ელემენტში ყველაზე ძლიერია საეთნოგრაფიო და საპოლიტიკო. ისტორია მხოლოდ ზედ ერთვის, აძლიერებს ამა თუ იმ ელემენტს, თვით კი დამახასიათებელი არ არის ხალხისა და ერისა.

საეთნოგრაფიო პირობები, ზნე-ჩვეულებათა ერთობა, ჰქმნის რთულსა და ძვირფასს ერთეულს — **ხალხს**. ხალხი წარმოადგენს განსაკუთრებულ ინდივიდუალობას, დასრულებულსა და მთლიანს რასმე, რომელიც სხვებში განირჩევა საკუთარის კულტურითა, ხელოვნებითა და შემოქმედების ნაყოფითა. მხოლოდ ხალხი ჰქმნის კულტურას, განსხვავებულს და თავისებურს, მხოლოდ ხალხი წარმოჰშობს გენიოს ადამიანებს. ყველა ამას გვიმტკიცებს ყოველი სხვა და სხვა ხალხის პოეზია, ხელოვნება. გეტე და შილერი მაშინ მოევლინენ გერმანელობასა, როდესაც იგი ხალხი იყო, ძლიერი სახელმწიფო, ნაცია ჯერ ვერ შეექმნა. უძლიერესი იარაღი ხალხისა არის **ენა**. ენა მარტოოდენ გარეგნად არ აკავშირებს ხალხს, იგი ნამდვილი დამახასიათებელია მისი და შეადგენს ძვირფასს საუნჯეს, სალაროს, რასაც ძლიერ უნდა უფრთხილდებოდეს, თავს ევლებოდეს ყველა, როგორც შემოქმედების უძლიერესს იარაღსა. ასეთია ხალხი.

სულ სხვაა **ნაცია**, ერი. ნაცია თითქმის სრული უარყოფაა ხალხისა, ნაციას ჰქმნის საპოლიტიკო ერთობა, ელემენტი. ნაცია სრულიად არა ჰგავს ხალხს, შემოქმედების ამ ძლიერ იარაღსა. იგი მხოლოდ გარეგანი შეერთებაა ხალხებისა, წარმოადგენს ერთ საპოლიტიკო ორგანიზაციასა. ნაცია, ერი ახალის დროის შვილია და აღმოცენდა კაცობრიობის განვითარების მხოლოდ უმაღლეს საფეხურზე. რამოდენადაც ძლიერია და მდიდარი სულით ხალხი, იმდენად მოუხეშავი, მხოლოდ გარეგნად მოწესრიგებულია ნაცია, სახელმწიფო. ხალხის საძირკველია შინაგანი ფაქტორი, კულტურა, ნაცია შეადგენს ძლიერ სახელმწიფოს და აშენებულია მხოლოდ მატერიალურ კულტურის სიძლიერეზე.

ამ კლასიფიკაციის მიხედვით ნაციონალიზმიც ორნაირია: ხალხის, ამ ძვირფასის ძალის ნაციონალიზმს საფუძვლად უდევს ხალხის სიკეთე, სარგებლობა, მისი ინდივიდუალობის დაცვა, ყოველგვარ დაჩაგვრისაგან განთავისუფლება. სახელმწიფოებრივი, ნაციის ნაციონალიზმი სრული უარყოფაა ხალხის ნაციონალიზმისა. იგი სცდილობს მხოლოდ გარეგნად შეკოწიწებულ და მოწესრიგებულ ხალხთა გაერთფეროვანებას და წინააღმდეგია ყოველგვარ დეცენტრალიზაციისა. სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმი სცდილობს სახელმწიფოს ერთიანობა-მთლიანობა დაიცვას. ხალხს ჰსურს გათქვეფა აიცდინოს თავიდან, ინდივიდუალობა შეირჩინოს და ამიტომ მომხრეა დეცენტრალიზაციისა.

ლექტორის ლაპარაკში ისე სჩანდა, თითქოს ნაცია და სახელმწიფო ერთი და იგივე ყოფილიყვეს. ბ-ნ ლისოვსკის ამაზე ყველა ვერ დაეთანხმება. მართალია ერს სახელმწიფო ჰქმნის, მაგრამ ერი, ნაცია სახელმწიფო როდია. ჩვენის აზრით, რასაც ბ-ნი ლექტორი **ხალხს** უწოდებდა, იმას **ერის** სახელი უფრო შეჰფერის. ხალხი-ერისა და სახელმწიფოს მასალაა, მაგრამ შეიძლება (და ხშირადაც არის) სახელმწიფო ხალხს წარმოადგენდეს, ერს, ნაციას კი არა.

ლექციის მეორე ნაწილში ბ-ნი ლისოვსკი შეეცადა ამ თეორიის თვალით შეეხედნა ევროპისათვის. ნაცია, ერი პირველად ნათლად ინგლისში გამოისახა. ინგლისელები თავისებური ხალხია; ისინი ძნელად თუ გაჰბედვენ საგნის გარეგან შეხედულების გარდაქმნას. ინგლისელი დიდ რეფორმას მოახდენს და გარეგანი სახე კი წესწყობილებისა ზანტად იცვლება ხოლმე. ამიტომ ძლიერ ძნელია ინგლისის ისტორიის ფაქტების გაგება. ინგლისელთა სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენენ ფრანგები. მათი სადაობა და პირდაპირობა შესანიშნავია. რაც ინგლისმა თავის სულის სიღრმეში შეიმუშავა, საფრანგეთმა, მარტივის, გასაგები ენით მთლად ქვეყანას აუწყა. საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია ინგლისის 1649 წლის რევოლუციის გამარტივებული თარგმანია. ინგლისში დაიწყო პარლამენტარიზმი და ნაციას მტკიცე ნიადაგი მოუმზადეს, ფრანგებმა უფრო ნათლად და აშკარად უჩვენეს ქვეყანას ნაცია. რევოლუციამდე საფრანგეთი დაქუცმაცებული იყო, რევოლუციამ მოსპო დაქუცმაცება და შეჰქმნა ნაცია, საფრანგეთის ერი, ძლიერი სახელმწიფო. იგი შეეცადა ამ ძლიერ სახელმწიფოს ფარგლის გაფართოებას, გადიდებას. ასეთი მისწრაფება დამახასიათებელი თვისებაა სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმისა. სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმის ბრალია ჩვენი დროების ბოროტება—მილიტარიზმი. სახელმწიფოს, ნაციის შემადგენელნი ხალხნი სცდილობენ გაარღვიონ ერის წრე, განთავისუფლდნენ და შემდეგ შეჰქმნან თავისუფალივე კავშირი ხალხთა. სახელმწიფო ცენტრალიზაციას სასტიკად იცავს და შებოჭილი ჰყავს ხალხები. ნაციას ასაზრდოებენ შემადგენელნი ხალხნი და თვით კი სარგებლობა არაფერი აქვთ. ნაციას, სახელმწიფოს განაგებენ ჯგუფნი, რომელნიც სცდილობენ რაც შეიძლება მეტი იარაღი შეიძინონ, გაძლიერდნენ და მეზობელს ერს შეიარაღებით არ ჩამოუვარდნენ. ხალხის ნაციონალიზმი კი იბრძვის ამისთანა მონობისაგან გასანთავისუფლებლად და სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა აქვს სახელმწიფოებრივ ნაციონალიზმთან. ჯერ ვერავინ იტყვის დაბეჯითებით, ვინ გაიმარჯვებს.

ამ ორი ნაციონალიზმითგან გამოვიდა ორი სხვა და სხვა მიმართულება. ერთი ღვიძლი შვილია ხალხის ნაციონალიზმისა. ამ მიმართულების მიმდევარნი მოითხოვენ ყველა ხალხთა განთავისუფლებას ყოველგვარ გონებისაგან. მათ ღრმადა სწამთ მომავალი, სწადიანთ ხალხთა კავშირის დამყარება, ფედერაცია.

სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმის პირმშო შვილია მატერიალისტების მიმართულება. მათ სწამთ საბოლოოდ სამართლიანობის დამყარება და მთლად კაცობრიობის გაერთიანებასა ჰლამობენ. ამით ჰგვანან სახელმწიფოებრივ ნაციონალისტებსა, მთელი ქვეყნის ერთ სახელმწიფოდ შექმნა რომ სწადიანთ. ხალხის ნაციონალიზმის მიმდევართა და მატერიალისტების მიმართულება ეწინააღმდეგებიან ერთმანეთსა, მაგრამ ბოლოს ისინიც შეერთდებიან ყველა ხალხის საკეთილოდ და ასაღორძინებლადაო, დაათავა პატივსაცემმა ლექტორმა.

მადლიერმა საზოგადოებამ მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა ბ-ნი ლისოვსკი და დიდად კმაყოფილი დაიშალა.

რაჭველი.

წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ხელის მოწერის პირობების თანახმად წლიურ ხელის-მომწერად ითვლება: ვინც ხელის მოწერის დროს განაცხადებს სურვილს, რომ მთელი წლით უნდა გაზეთი და მაშინვე შემოიტანს 3 მანეთს, და ვინც წლიურ დანარჩენ ფასს გადიხდის 1 **მარტამდე 2 მ.**, 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენ 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

რადგანაც 1 **მარტი** ახლოვდება ვთხოვთ ვისაც შემოსატანი აქვს შემოიტანონ 2 მან.—წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკარგება წლიურ ხელის მომწერის უფლება, რომლის ძალიდაც პრემია **მიიღო** და ამიტომ გაზეთის გზანაც შეწყდება.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

ახალ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

რადგანაც ბევრი ახალი ხელის მომწერი პრემია „გრძემლის“ გულისთვის ხელს 1 იანვრიდან აწერს, მათ საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ იანვრის გაზეთის №№ აღარ მოგვეპოვება და **დღეიდან ახალი ხელის მომწერნი იანვრის ნომრებს ველარ მიიღებენ.**

„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები.

მუკდენი. გენერალ-გუბერნატორმა გამოუცხადა იმ რევოლუციონერებს, რომელნიც მანჯურიაში ჩამოსულან, გაჭირვებაში ჩაცვივნულან და იძულებულნი არიან ძარცვა-გლეჯა გასწიონ, შეუძლიანთ ფული მიიღონ სამშობლოში დასაბრუნებლად, ან აქაურ ჯარში ჩაირიცხონო. ჩუანცზოლინის და ნელუცანის თაოსნობით მოხდა დიდი კრება მშვიდობიანობის დასაცველად ზომების შესამუშავებლად. პანტუნფუნს ერთი ბატალიონი გაჰგზავნეს, რადგან არეულობა ყოფილა იქა.

ჩიფუ. გუბერნატორმა ძველი ჯარის აფიცრები დაითხოვა და მოხელეებსაც ემუქრება, დაგითხოვთ, თუ თმა არ მოგიკრეჭიათო. ოპიუმის მოწევა სასტიკად აკრძალულია. ვენ დუნში ისევ არეულობაა. 1500 ჯარისკაცი გაჰგზავნეს ტყვიის მფრქვეველებითა.

კულჯა. მონგოლეთის პოლკების აჯანყების გამო, ვაჭრობა შესწყდა. არეულობის მოსასპობად რევოლუციონერებმა მხედრობა გამოჰგზავნეს.

მანილია. ამერიკის ხუთასს ჯარისკაცს პეკინს ჰგზავნიან.

კაშგარი. აქ ჯერ არ მოსულა ბოგდიხანის გადადგომისა და რესპუბლიკის გამოცხადების ამბავი.

ურგა. დალაი-ლამის მრჩევლად ნამყოფი ბურიატების სამბო აგვან დორჯიევი ტიბეტს წავიდა დალაი-ლამას ლხასაში შესახვედრად.

პეკინი. იუანშიკაი დიდის ზეიმით ავიდა რესპუბლიკის პრეზიდენტის ტახტზე. ცერემონიის შემდეგ იუანშიკაის მიულოცეს სხვა და სხვა უწყების მოხელეებმა. საღამოს ფანრებით დადიოდნენ. ქალაქში მშვიდობიანობაა. ძარცვა-გლეჯა ისევ გრძელდება. ყოველ-დღე ხუთ-ექვს კაცს სჯიან სიკვდილითა. თაონშაის პრემიერად ასახელებენ, გარეშე საქმეთა მინისტრად - პეტერბურგში მყოფი ლუჩენსდეანის, სამხედროდ-გენერალ დუანჩიგუის.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები

თეირანი სალარ-უდ-დოულე ჯერ ისევ ქერმანშაჰშია. ქურთისტნის მმართველად მან მუჯალად-უს-სალტანე დასტოვა. იარ-მოჰამედი დანარჩენის ფიდაებით თეირანს მოვიდა.

ჯულფა. მოვიდა და აქედან თავრიზს გაემართა სუნჟენის ყაზახთა პოლკი. ქოიდან მოვიდა და ელისავეტპოლს გაემგზავრა კავკასიის მსროლელთა მესამე პოლკი.

თავრიზი კავკასიაში წამოვიდა პოლტავის ყაზახთა პოლკი, რომლის მაგივრადაც სუნჟენისა მოვიდა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო).

26 და 27 თებერვალს.

საზღვარ-გარეთიდან.

გაფიცვები.

ბერლინი. რუსის მიდამოების მაღაროების პატრონებს მუშათა მოთხოვნილებების თაობაზე მუშათა კომისიებთან მოლაპარაკება ჰქონდათ. შერიგების კილოთი ლაპარაკობდნენ ქრისტიან მუშათა კავშირები. იმედი აქვთ მათთან მორიგებისა. პირიქით, სოციალისტები ხვალ მუშათა კრებების გამართვას აპირებენ და უნდა დაარწმუნონ, ხელი აიღონ მუშათა კომისიების საშუალებით მოლაპარაკებაზე. ამბობენ, სოციალისტი-მუშები ორშაბათს გაიფიცებიანო.

ვალდენბურგი. ქვემო სილეზიის მაღაროების პატრონებმა ნებაყოფლობით მოუმატეს მუშებს ხელფასი.

ბერლინი. საღამოს ქარგლების თანამშრომელთა ლოკაუტი დაიწყება ბერლინსა და 175 ქალაქში. ლოკაუტი 35 ათასს კაცს შეეხება.

ვალიადოლიდი საბაჟოს წინ რამდენიმე ათასმა მუშამ დემონსტრაცია მოახდინა, შემდეგ საბაჟოს სადგომს ცეცხლი მოუკიდა და ჟანდარმებს ქვები დაუშინა. დაშავებულა რამდენიმე მანიფესტანტი და 8 ჟანდარმი.

ესსენი. მაღაროების მუშათა სამმა კავშირმა 507 ხმით 74 წინააღმდეგ გადაჰწყვიტა გაფიცვის გამოცხადება.

ბოხუმი. ქრისტიან მუშების კავშირის წევრთა კრებაზე დაადგინეს გაფიცვა არ გამოაცხადონ.

სერბიის განცხადება.

ბელგრადი. ვენაში მყოფ ელჩს დაავალეს ავსტრიის მთავრობას პასუხი მოსთხოვოს ავსტრიის ჯარისკაცთა მიერ სერბიის საზღვრების ხშირად გადალახვის გამო.

კონტრაბანდა.

დუნკირხენი. ჰამბურგიდან მოსულ გემზე მაროკოს წასაღები კონტრაბანდა აღმოაჩინეს 56 მაუზერებით და პატრონებით სავსე ყუთი.

ხორვატელთა მანიფესტაცია

ზაგრები. 3 ათასზე მეტმა სტუდენტმა და გიმნაზიელმა მანიფესტაცია გამართა და ეროვნულ სიმღერებს მღეროდა. მანიფესტაცია გამართეს სტუდენტ საალინაგიჩის გამომთელების გამო, რომელიც სარაევის დემონსტრაციის დროს დასრჭეს.

ფრენა.

ეტომპი. მფრინავი—ქალი ბერნარი მაღლიდან ჩამოვარდა და დაიღუპა.

კანალეხასის განცხადება.

მადრიდი. სენატში კანალეხასმა სთქვა, იმედი მაქვს საფრანგეთთან მოლაპარაკება ჩქარას დავაბოლოვებთო.

ექიმის დაჭრა.

ვენა. ინჟინერმა ილნიცკიმ,—რომელსაც ბერნში მყოფ რუსეთის ელჩს ქადოვსკის მოკვლა ჰსურდა და ლვოვის საგიჟეთში იყო დამწყვდეული,—მძიმედ დასჭრა საავადმყოფოს ექიმი მიკულსკი.

შუა ლოგიკურად მტკიცება არ სჭირდება: საკმაოა პირდაპირი ხაზი დავხატოთ ან ფანტაზიაში წარმოვიდგინოთ, რომ ეს აქსიომა შევიგნოთ, „ინტელექტუალურად დავინახოთ“. პირიქით ევკლიდის გეომეტრიის ტეორემები დისკურსიულად მსჯელობას, ლოგიურად დამტკიცებას მოითხოვენ, თუმცა შოპენჰაუერი გვარწმუნებს, რომ შესაძლებელია სხვაგვარი გეომეტრია, რომელიც პირდაპირ, უშუამავლო „დანახვაზე“, ინტუიციაზე იქმნება დამყარებული.

როგორც ვხედავთ ინტუიცია სულ სხვაა ვიდრე ინსტინქტი. ამ შეხედულების დასამოწმებლად მოვიყვანთ რამოდენიმე ფილოსოფოსს, რომელ ავტორიტეტს ბ. წულუკიძისთვის მეტი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე ჩვენს სიტყვებს; სახელდობ: ვილჰელმ ოკკამს ჯონ ლოკკს (შეად. მისი „ნარკვევები ადამიანის გონების შესახებ“ ნაწილი IV, თავ. II და 1), ლეიბნიცს („ახალი ნარკვევები ადამიანის გონების შესახებ“, ნაწ. IV, თავ. II და პარ. 2) აგრედვე სპინოზას, რომელიც „ეთიკაში“ (გერმ. გამ. რეკლ. გვ. 128 და შ.) ინტუიციას შემეცნების უმაღლეს ფორმად აღიარებს და სხ...

ხელოვნებაში რომ მართლაც მარტო ინსტიქტი იყოს გამეფებულ, მაშინ საუკეთესო ხელოვნება უწინარეს ყოვლისა ცხოველებს ექმნებოდათ, შემდეგ ზულუსებს და ბოტოკუდებსა მაშინ შეიძლება (ბ. წულუკიძის „ესთეტიურ საფუძველსაც“ ჰქონოდა რაიმე საფუძველი. მაგრამ ადამიანთა საბედნიეროდ ხელოვნებაში „გამეფებულია“ არა ინსტიქტები (ნების ყოფის ერთი უმდაბლესი სახე), არა მარტო ინტუიცია (გონების უმაღლესი გამოხატულება რაციონალისტების მიხედვით, არამედ სულიერი ცხოვრების მთლიანობა. ხელოვნურს შემოქმედებაში და ესთეტიურს სიამოვნებაში ყველაზედ დიდ როლს ფსიხიკის ემოციონალური მხარე თამაშობს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ემოცია ფანტაზიის და გონების დამოუკიდებლად ხელოვნურს ნაწარმოებს ვერ შექმნის. ინტელექტისგან განთავისუფლებულმა გრძნობამ შეიძლება ადამიანი მართლაც იმ „ერთგვარს ექსტაზსა და სულიერ სიმთვრალეში“ ანუ „სიმბოლიურად რომ ვსთქვათ დიონისო-აპოლონისებურ დაუკავებელ სიგიჟეში“ ჩააგდოს, რომელიც ჩვენი „მხიარული“ ლექტორის აზრით „შემოქმედების პროცესში სახიერდება და გარკვეულს ფორმებს იღებს“, ეს „დაუკავებელი სიგიჟე“ ბ. წულუკიძეს ძლიერ მოსწონს: ადვილი შესაძლებელია ის მართლაც სახიერდებოდეს მის შემოქმედებაში, ხელოვნების შესახებ კი ამას საბედნიეროდ ვერ ვიტყვით. „სიმთვრალეს და სიგიჟეს“ არავითარი ესთეტიური და ლოგიური ნორმები და კანონები არა აქვს: ხელოვნება კი გარკვეულს ნორმებს ექვემდებარება, რომელნიც ჩვენი „დაუკავებელი დიონისესათვის“ მუდმივს საიდუმლოებად დარჩებიან. ამასგარდა უმორჩილესად მოვახსენებთ ბ. წულუკიძეს, რომ აპოლონისებური ელემენტი ხელოვნებაში სრული წინააღმდეგობაა, იმისა, რასაც დიონისებურს, ექსტატიურს, აღელვებულს უწოდებენ: აპოლონისებური პრინციპი გონივრულ აწონ-დაწონის, ზომიერების, გარკვეულობის საფუძველია და მის საუკეთესო განხორციელებლად ბერძნების პლასტიკა ითვლება ე. ი. ფიდაისის სკოლას, პრაქსიტელესის და პოლიკლეტის ქანდაკება.

რაც შეეხება იმ „გენიალურს აზრს“*), რომ „არის მეცნიერული კრიტიკა და მის გვერდით ესთეტიური“, რომ თითქო შემცდარია ის აზრი, რომ „არის მხოლოდ მეცნიერული კრიტიკა, რომელიც ხელოვნებასაც განაგებს და მეცნიერებასაც“, ის სრულს გაუგებრობასა ან ცნებათა არევ დარევაზეა დაფუძნებული. განა ესთეტიკა მეცნიერება არ არის და ესთეტიური კრიტიკა მეცნიერული კრიტიკის ერთი ფორმა არ არი? თუ შეიძლება ჩვენს მხიარულს დიონისეს ესთეტიკა ხელოვნების ერთს დარგად მიაჩნია?

ჩვენ არ ვიცით რა შეხედულებას იცავდა ბ. კოგანი ტფილისში, მაგრამ თუ ის მართლაც იმას ამბობდა, რომ ყოველი კრიტიკა არსებითად მეცნიერულია, ჩვენ ამაში არავითარ შეცდომას არ ვხედავთ. ეს ხომძველის ძველი, საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა. ყოველი ფხიზელი (არა მთვრალი) კრიტიკა მეცნიერული მეთოდით ხელმძღვანელობს: ის ფაქტებს აგროვებს ე. ი. იმ საგანს ეცნობა, რომელიც კრიტიკულად უნდა ასწონოს, ის ნორმებს იკვლევს და ამ ნორმების მიხედვით ზოგიერთ მოვლენას შესაბამებულად აღიარებს, ხოლო ზოგიერთს შეუსაბამებლად. განსხვავება მხოლოდ იმ მხრივ არის, რომ ერთი ფორმა მეცნიერულ კრიტიკისა (შემეცნების კრიტიკა და სხ.) თვით მეცნიერებას იკვლევს, ხოლო მეორე (ესთეტიური)—ხელოვნებას. ეს უკანასკნელი თავის მხრივ განიყოფება ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობის და სხ. კრიციკად. რადგან გამოკვლევის სფერო სხვა და სხვაა, ამიტომ ხელოვნების კრიტიკა განსხვავდება მეცნიერების კრიტიკისგან, თუმცა ორივე მეცნიერული არის და უნდა იყოს. მეცნიერების კრიტიკა ჭეშმარიტების ღირებულებით ხელმძღვანელობს, ხელოვნების კრიტიკა მშვენიერების თვალსაზრისით. პირველი უვარგისად სცნობს ისეთს მეცნიერულს ნაწარმოებს, რომელიც ლოღიკის კანონებს არღვევს, მეორე ისეთს ხელოვნურს შემოქმედებას, რომელიც ესთეტიურ ნორმებს ეწინააღმდეგება.

ჩვენ აღარ შევჩერდებით იმ უსაფუძვლო საყვედურზე, რომელსაც ჩვენი „დაუკავებელი და უშიშარი რაინდი“ რუს და ქართველ კრიტიკოსებს უძღვნის: თითქო ისინი მხოლოდ „ფაქტების აღნუსხვას აქცევენ ყურადღებას, მის ტენდენციონურ საზოგადოებრივ მიმართულებას“, ხოლო ფორმას, „რომელშიაც იხატება ხელოვანის მთელი ფიზიონომია“ ივიწყებენ ან ზურგს აქცევენ. უპირველეს ყოვლისა შემცდარია ის აზრი, თითქოს ხელოვანის მთელი ფიზიონომია ფორმაში იხატებოდეს: ის ფიზიონომია შინაარსშიც არა ნაკლებ იხატება. მეორედ კიდევ, მხოლოდ უმეცარს შეუძლია იმის თქმა, რომ თანამედროვე კრიტიკოსები ფორმას ყურადღებას არ აქცევენ. ბ. წულუკიძეს ვურჩევთ გაეცნოს ავსიანიკო კულიკოვსკის, მერეჟკოვსკის, კისენვალდის, ბენუას, ვალტერს ან კიდევ ჩვენი კ. აბაშიძის და ი. გომართელის ნაწერებს, და თავის „ულმობელს მსჯავრს“ შემდეგ დაუფიქრდეს.

ჩვენ ყველა იმ საუნჯეს ვერ გამოვფენთ, რომელიც ამ უცნაურს „მოხსენებაშია“ ჩაფლული. ზოგიერთი ადგილები იმდენად კომიკური და სასაცილოა, რომ ჩეხოვის სიტყვებით რომა ვსთქვათ, დრაგუნის ცხენებსაც კი ისტერია მოუვიდოდათ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათთვის ამ „მოხსენების“ გადაცემა. ამისთვის ჩვენ ეხლა დრო და ხალისი არ შევვწევს. მკითხველის ყურადღებას მხოლოდ იმ ადგილს მივაქცევთ, სადაც ავტორი უალდის და ფოლკელტის წინააღმდეგ იმ აზრს იცავს, რომ „ხელოვნება სრულიადაც არა **ჰქმნის** ახალს საგნებს, არამედ მზა-მზარეულად იღებს მათ სინამდვილიდან“. გავკადნიერდებით, ჰეინეს ცნობილს სიტყვებს ცოტათი შევცვლით და მოვახსენებთ ქართველს დიონისეს, რომ მართალია იმის უფლება ყველას აქვს უაზრო და უმეცარი იყოს, მაგრამ ის ბოროტად სარგებლობს ამ უფლებით. მოვუწოდებთ ბ. წულუკიძეს დაგვისახელოს თუნდ ერთად ერთი დარგი ხელოვნებისა, თუნდ ერთად ერთი ხელოვნური ნაწარმოები, რომელიც „საგნებს მზამზარეულად იღებს სინამდვილიდან“. ხელოვნება მზარეულის ხელოსნობა არ არის, რომ მან ბაღჩაში სტაფილო და ნიახური შეაგროვოს ბოზბაშის მოსამზადებლად. ძლიერ საინტერესოა ვიცოდეთ რომელ სინამდვილეში ჰნახა მზა-მზარეულად ჩვენმა „განმანათლებელმა“ „ღვთაებრივი კომედია“ ან „მაკბეტი“, „მეცხრე სიმფონია“ ან „მონნალიზა“. ხელოვნური ნაწარმოებნი რომ მართლაც ასე „გიჟურად“ ყოფილიყო გაბნეული სინამდვილეში, ჩვენს დიონისეს რაღა დაუშლიდა ჩვენთვის ერთი რაიმე „გენიალური“ ნაწარმოები ეძლევნა.

დასასრულ თემის პატივცემულს რედაქტორს მეგობრულად ვურჩევთ ისეთ კომიკურს თანამშრომლებს, როგორიც არის ბ. მან-წილი (რომელმაც ამ ოთხი თვის წინად არა ნაკლებ „მხიარული სიბრძნე“ გვამცნო შანშიაშვილის პოეზიის შესახებ) და მასთან ერთად ბ. წულუკიძე, ხელში კალმის მაგივრად რამოდენიმე პოპულიარულ-მეცნიერული სახელმძღვანელო მისცეს. მიტომ რომ სხვისი „გაკრიტიკება“ და „განათლება“ იმას არ ძალუძს, ვინც უმეცრების სიბნელეში იმყოფება.

გერონტი ქიქოძე.

---

*) არსებობს ქართული არსებითი სახელი გენიოსი, აქედან წარმოსდგება ზედსართავი გენიოსური და არა გენიალური; ეს უკანასკნელი რუსიციზმია. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენს დიონისეს ქართული გრამატიკის საფუძველი შეესწავლა, სანამ სხვა და სხვა „საფუძვლების“ წერას შეუდგებოდა. **გ. ქ.**

რ უ ს ე თ ი

ოფიციალური განმარტება.

პეტერბურგი. ამ უკანასკნელ დღეებში რამოდენიმე პერიოდულ გამოცემაში ცნობები იყო მოთავსებული, თითქოს მინისტრთა თავმჯდომარის და იუსტიციის მინისტრის შორის ცხარე უთანხმოება ჩამოვარდნილიყოს სომხების წარმომადგენელის კავკასიის უმაღლეს სასამართლო ორგანოებზე სომხებისადმი უკანონოდ მოპყრობის გამო საჩივრის შესახებ. ცნობებში მოხსენებული იყო, ვითომც პრემიერ-მინისტრს არაკეთილსაიმედო დასკვნა გამოეტანოს ტფილისის სასამართლო პალატის უფროს თავმჯდომარის მოქმედების შესახებ, და იუსტიციის მინისტრს კი დაერღვიოს იგი. ყველა ეს ცნობები სიმართლეს მოკლებულია. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მიიღო მართლაც სათათბიროს ერთ დეპუტატისაგან წერილობითი საჩივარი აღნიშნულ საქმის გამო; სტატს-სეკრეტარმა კოკოვცევმა ეს საჩივარი იუსტიციის მინისტრს წარუგზავნა სათანადო განმარტებისთვის. კოკოვცევს არავითარი დასკვნა არ გამოუტანია ამ საქმის თაობაზე. სტატს-სეკრეტარმა შჩეგლოვიტოვმა პრემიერ მინისტრს განმარტება წარუდგინა საჩივარში მოხსენებულ ბრალდების შესახებ. არავითარი უთანხმოება სტატს სეკრეტარ კოკოვცევსა და იუსტიციის მინისტრს შორის არ მომხდარა. კოკოვცევის შჩეგლოვიტოვისადმი მიმართვა ჩვეულებრივი მოვლენაა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წინაშე აძრულ საკითხთა განხილვის წესრიგში.

პასუხად გაზ. „ცხოვრების“

ბრილელ კორესპონდენტს ბ-ნ მცოდნეს.

(წერილი რედაქციის მიმართ)

გაზ. „ცხოვრების“ მეთერთმეტე ნომერში მოთავსებულია ბ-ნ მცოდნე“-ს კორესპონდენცია სოფ. ბრილიდან. ბ-ნი მცოდნე, ბრილელ გლეხთა მიმართ ყალბის გულშემატკივრობით აღძრული, გვიკვიცინებს მე და ფალავანდიშვილს, ვითომც ჩვენ, როგორც გომში არსებულ „სინდიკატი“-ს წარმომადგენელთ, გადმოცემული გვქონდეს თავადთ დიასამიძეთაგან მამული და „სინდიკატი“-ს წევრნი მემამულენი, ჩვენის საშუალებით, ყვლეფდნენ და ტყავს აძრობდნენ ისედაც გაძვალტყავებულს ბრილელ გლეხებს. ეს მტკნარი სიცრუე, რაღა თქმა უნდა, კორესპონდენტის ცარიელ სიტყვაზეა დამყარებული და არც ერთის საბუთით არ არის დამტკიცებული. ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და დიდ მანძილს ვერ გაივლის. ამას ეხლავე ვნახავთ:

თავ. დიასამიძეთა მამული გადაცემული კი არა აქვს „სინდიკატს“, არამედ სრულ საკუთრებას შეადგენს ამ დაწესებულებისას, რადგანაც „სინდიკატმა“ იგი შეიძინა შარშან საჯარო ვაჭრობის დროს სახელმწიფო ბანკში. ეს შეძენა სინდიკატს სამოც-და-ათიათას მანეთამდე დაუჯდა. ამ მამულში ერთი ადგილის ტოლა მიწაც არ მოიპოვება და საიდან მოჰორა ბ-მა მცოდნემ, რომ ხსენებული მამული სანადელო მიწებისაგან შესდგებაო?! ბ-ნი მცოდნე როდი ბრძანებს,—რა [illegible] გლეხების გაყვლეფა... ან რა საჭიროა ცილისმწამებლისთვის საბუთები და ცნობები?! მაგრამ დავეხმარებით და ამ ცნობებს ჩვენ თითონ მივაწვდით:

„სინდიკატი“ ახდევინებს მოიჯარადრე გლეხებს დღიურ მოხნულ და დათესილ მიწაში ფულად ხუთ მან. მაშ, როდესაც სხვა მესაკუთრენი ახდევინებენ ქირნახულით ორ კოდსა ორ ჩანახს, რომლის ღირებულება, საშუალ ფასად, უდრის არა ნაკლებ რვა-ცხრა მან. ამის გარდა, მესაკუთრენი ახდევინებენ აგრეთვე ორი მუშის სამუშაოს, რაც უდრის, სულ ცოტა, ერთ მან. და პირად სამსახურით (ურემი, გუთანი და სხვა) ერთ მან. ამ რიგად, დღიურზე ათი-თერთმეტი მანეთი გამოდის იმავე რაიონში საგლეხო ბანკი დღიურზე იღებს ფულად 8 9 მან. მაშასადამე, „სინდიკატი „ახდევინებს ერთი ორად ნაკლებს ვიდრე სხვა მესაკუთრენი და თვით საგლეხო ბანკის, იმის გარეშე, რომ იგივე „სინდიკატი“ არც საბალახეს ახდევინებს თავის მოიჯარადრე გლეხებს.

აი, ის გაყვლეფა და ტყავის გაძრობა, რომელზედაც ჰღაღადებს ბ-ნი მცოდნე... თუ სირცხვილი იმდენად ძლევამოსილია, რომ ხანდისხან ცილის მწამებელსაც-კი ევლინება, მე დარწმუნებული ვარ,—სირცხვილის ალმურმა უნდა აულანძოს ბ-ნ მცოდნეს სახე, როდესაც ამ წერილს წაიკითხავს.

თავ. ვასილ ედიშერის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი.

რუსეთი

გენერალ კურლოვის სამართალში მიცემა.

გაზეთების ცნობით, მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განუხილავს სენატორ ტრუსევიჩის მოხსენება კიევის დამცველ განყოფილების რევიზიის შესახებ. საბჭოს საკმარისად უცვნია სენატორ ტრუსევიჩის მიერ შეკრებილნი ცნობანი და გენ. კურლოვის, პოლ. სპირიდოვიჩისა, პოდ-პოლკოვნიკ კულიაბკოს და პოლიციის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორის ნამყოფ ვერიგინის სამართალში მიცემა დაუდგენია, რაც უკვე შეუტყობინებიათ სამოსამართლო პალატის ბრალმდებლისათვის.

შეკითხვა რასპუტინის შესახებ.

რასპუტინის შესახებ, რომელიც ამჟამად თავის სოფელში დაბრუნდა, სათათბიროს წევრის ლვოვის თაოსნობით სათათბიროში შეკითხვა შეაქთ, იცის თუ არა იუსტიციის მინისტრმა, რომ გრიგოლ რასპუტინი საზიზღარ საქმეებს სჩადის, რომელიც სისხლის სამართლის დებულების მე-90 მუხლით ისჯება და თუ იცის რა ზომები მიიღო მან რასპუტინის ბოროტ მოქმედებათაგან საზოგადოების დასაფარავადო?!- სწერია თურმე შეკითხვაში. ჯერ არ იციან, როდის იქნება ეს შეკითხვა სათათბიროში წარდგენილი.

თეატრი და ხელოვნება

ჭიათურა. კვირას ჩვენმა დასმა ითამაშა შპაიერის 4 მოქმედებიანი დრამა „ნიშანი ყოფაქცევაში“ და დავით კლდიაშვილის პატივსაცემად და თანადასწრებით „დარისპანის გასაჭირი“.

წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა... საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა ნ. გვარაძემ. ბ-ნი გვარაძე (ფელიქსი) მეტადრე მშვენიერი იყო იმ ალაგას, როდესაც ის დედის კალთაში თავს ჩასდებს და სთხოვს მხოლოდ ერთხელ, ერთხელ მაინც მოუალერსოს... მაგრამ, როდესაც მშობლიურ ალერსს ვერ მიიღებს, მარტოობას იგრძნობს, საშინელ მარტოობას და სასოწარკვეთილი გაიძახის: „მე არა მყავს დედა“. კარგი იყო აგრეთვე მეოთხე მოქმედებაში, როდესაც ის მიიწევს თავის ავადმყოფ დედის ოთახისაკენ, რათა გულში ჩაიკრას, ფიანდაზად დაეგოს, შორიდან მაინც შეხედოს. მშვენიერი იყო კიდევ, სწორედ იმ ალაგას, როდესაც ის სთხოვს მამას, რომელიც მის ოთახში უკვე შემოვიდა, გაუშვას დედასთან. ის კი სცემს და უკუ აგდებს, სასოწარკვეთილი ფელიქსი ფანჯრიდან ვარდება ძირს. მეოთხე სართულიდან.

საზოგადოთ ნ. გვარაძე ნიჭიერი მსახიობია, რაც მისმა მოხდენილმა თამაშმა დაამტკიცა შაბათს, 25 თებერვალს.

მოხდენილად ჩაატარა თავისი როლი ქ-ნმა კაკაბაძემ. ის დიდი ხანი არ არის რაც სცენაზე გამოსულა, მაგრამ მას წინსვლა ეტყობა. კარგი იყო აგრეთვე ბ-ნი მითაიშვილი. კარგი იყო მალიკაშვილი (ლეონარდ)... აგრეთვე ჯავახიშვილი (ბერტა). და ლოლუა.

და ბოლოს ითამაშეს „დარისპანის გასაჭირი“. ნამდვილი ტიპიური დარისპანი იყო შალიკაშვილი... ასევე ითქმის კარსინის ამსრულებელზე (ჯავახიშვილი). მისი მიხვრა-მოხვრა, მთელი მისი მოძრაობა ტიპიური იყო.

კარგი იყო ოსიკოს როლში ბ-ნი ბენ. ლეჟავა. არა უშავდა რა ქანიშვილს და ქ-ნ სიხარულიძეს. სუსტობდა მართას როლში ქ-ნი მითაიშვილი. სუსტობდენ პირველ პიესაში ქ-ნი აბდუშელიშვილი და ლეჟავა. ავტორი რამდენჯერმე გამოიწვიეს და ლირა მიართვეს. საზოგადოებამ ათჯერ მაინც გამოიწვია დავ. კლდიაშვილი და მხურვალე ტაში დააჯილდოვა.

ბაი—შვილი.

წერილი რედ. მიმართ

მ. ხ.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთის უახლოეს ნომერში.

ამ წლის 19 თებერვალს ქ. შ. წ.-კ.-გ. საზოგადოების ბორჯომის განყოფილებასთან შემდგარმა დასმა გამართა განყოფილების სასარგებლოდ წარმოდგენა. ბილეთები გაიყიდა სულ 51 მ. 80 კ. ხარჯი იყო 20 მ. 45 კ. წმინდა შემოსავალი 31 მ. 35 კ. მიღებულია განყოფილების კასაში. ამასთანავე განყოფილების გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის ყველა იმ პირთ, ვინც მონაწილეობა მიიღო და ან დახმარება გაგვიწია წარმოდგენის გამართვაში.

განყოფილების თავმჯდომარე **გ. ვაშაკიძე.**

ბატონო რედაქტორო.

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც შემოსწირეს ფულად შუამთის მონასტერს განზრახულ წყლის გამოსაყვან საჭიროებათათვის. სია შემომწირველთა: აბრამისა და მის ძმის ისაკ ბოსტაგანოვებისაგან 25 მანეთ. კახეთის საზოგადოებიდან სამი მანეთი. ა. გოცირიძესაგან 2 მანეთი, ტ. გურჯანისაგან 2 მ., დ. მდივანისაგან 1 მ., ნესტორ ნეპორიძესაგან 50 კ. თაქთაქიშვილისაგან 1 მ., ყოფილი კ. ტარიელის ძესაგან 2 მ. 40 კ., თ-დ ლორთქიფანიძისაგან 3. მ., რ. ნაცვლისშვილისაგან 1 მ., მიხეილ ნასიძისაგან 3 მ., ს. კვინტაშვილისაგან 2 მ., ერ. გოცირიძისაგან 1 მანეთი, ბერელაშვილისაგან 2 მანეთი, №№ 20 კ., თ-დ დადიანისაგან 10 მ., ლ. მამულაშვილისაგან 5 მ., ლალაშვილისაგან 1 მ., ხაჩამოვისაგან 30 კ., პავლე ძიძიგურისაგან 2 მ., ექვთიმე ქარსელაძისაგან 50 კ., არუთინ ორბელოვისაგან 50 კ., ს. გ.-საგან 20 კ., ავაბანისაგან 10 კ., №№ 10 კ.. მირველოვისაგან 5 მ., ვექილი ქიქოძესაგან 5 მ., კოჩაროვისაგან 30 კ., ქავთარაძესაგან 30 კ., ელიაშვილისაგან 3 მ., ილარიონი დოლიძესაგან 1 მ., ჯაშიაშვილისაგან 50 კ., ილ. ჯიშკარიანიდგან 2 მ., ჭინჭარაძესაგან 2 მ., კაციტაძესაგან 1 მ., სანდრო მეგრელიშვილისაგან 1 მ., მაისურაძესაგან 1 მ., ტყეშელაშვილისაგან 1 მ., 50 კ., გრიგორი ხუტას. ხიდიაშვილისაგან 50 კ., ალ. მალხაზიშვილისაგან 8 მ., ვლად. ფანფცხავასაგან 50 კ., ნიკოლა ტერსააკოვისაგან 5 მ., ნიკიფორე მეგრელიშვილისაგან 50 კ., პავლე ასლანოვისაგან 3 მ., მდივან მდივანოვისაგან 2 მ., ალექსი შაქროვისაგან 1 მ., ვანო შაქროვისაგან 50 კ. მაგილოვისაგან ებრაელი 50 კ., სოლომონ სოლომონის ძე მესხიშვილისაგან 5 მ., ი. ეშ. 1 მ., ციციძესაგან 50 კ., ალექსანდრე ელიავასაგან 3 მ., სოლომონ გაგა 1 მ., ი. ალექსანდრე მანსვეტოვისაგან 25 მ., კოტე თამარა და კოლია კერესელიძისაგან 3 მ., გრიგორი ფევდოროვისაგან 1 მ., ნმ. ქარუბიძესაგან 2 მ., შაშა კვინტაშვილისაგან 1 მ., სანდრო შაბათავასაგან 1 მ., გაბო ალავერდოვისაგან 50 კ., ა. კ—საგან 50 კ., ალ. კატიაშვილისაგან 1 მ., ალექსანდრე მაკლაკელიძისაგან 10 მ., გიგო ბილაშვილისაგან 50 კ., გიორგი თვალაძესაგან 3 მ., კოტე ხუნდაძესაგან 1 მ., დიმიტრი ადა, № 50 კ. მარიამისაგან 20 კ., დიმიტრისაგან 20 კ. ნ. ცურინოვისაგან 3 მ., ირაკლი აკაშვილისაგან 2 მ, სევერიანე კეთილაძისაგან 5 მ., ტო-საგან 50 კ., სერაპიონ ბერიძესაგან 50 კ., გიორგი ჩახაშვილისაგან 30 კ, სიმონ სირაძესაგან 30 კ., კახეთი საეროსაგან ბარათოვისაგან 10 მ., კნეინა ქოზულოვისაგან 5 მ., სოლომონ კურდღელოვისაგან 1 მ., ნიკო ჰადი 10 კ., უცნობთაგან 50 კ., გეურქა არუთინოვის დუქნიდან 55 კ., დოლბერიძისაგან 50 კ., სიმონ ენუქიძე არჩილ ჯიანიძე სოსე სოსრაძე თევდორე ენუქიძე ამიტა სიმონ სირაძე 60 კ.

ეპისკოპოსი დავითი.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5. I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ.. გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ.. რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. [illegible] წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 8 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106. IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 8 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/61, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან; 1) სამგზ. № 6, I—II კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას, საღ. 5 ს, 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტიანია (საკუთარ. საწოლებით).

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—3 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).
10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცენ ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მალაკანის მოედანზე.

განცხადებანი

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე. ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. ჭიკირტუმოვი.
(თ. 1646.2)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი. საბავშვო და ყვავილის აცრა.
კბილის საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.25)

ყოველ-დღე
მოგვდის:

ახალ-ახალი წითელი სიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კომარი, სალიანის თევზეულობა შამაია და ყოველ გვარი გამოსული თევზი.

(წ.—1131—1)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალის ავადმყ
ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთა
ქ., № 67, [illegible]

ექიმი ა. ზ. [illegible]
[illegible] და ვენერიულ
მყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 8
საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლ
დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს
იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა.

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყო
პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, შანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12
ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეუ ნაშუად. 1—2 საათამდე.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრ სულით-ავადმყოფთ, ელექტროტერაპია დი 11—12 საათამდე.
კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. ლის 11—12 საათამდე.
მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და შვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.
ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა თა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალ ელექტრონით და მასაჟით სწამლობენ. მი ოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ კვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ვებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამ ნალოს სტაციონალური განყოფილება შეს საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.
(100—1615—

[illegible] საჩუქარი
ამ გაზეთის მკითხველთ
650 ნივთი მხოლოდ 3 მ. 90

1. **მშვენიერი საათი-ანკერ** სწორედ მოსიარულე, ექვსი წლის თავდებობით.
2. **საუცხოო საქალებო ბეჭედი** ამერიკულ ბრილიანტით.
3. **ჩინებული მანიჟკი,** მრავალ ალ მოსავალ. მარგალიტებით და პატენტ შესაკრავით,
4. **მოხდენილი და ლაზათიანი ქალის სამაჯური** ამერიკულ ოქროსი „დუბლე“, მშვ. ამერიკ. ბრილ.
5. **ჯიბის ლამაზი „ნესესერი“** ოთხის ნივთით.
6. **ერთი წყვილი საყურე** საუცხოო ამერიკულ ბრილიანტით და პატარა შესაკრავი.
7. **მშვენიერი და ლაზათიანი** ტყავის საფულე.
8. **ალბომი 50 საყურადღებო სანახაობით.**
9. **მუშტუკი-აპარატი ექიმ კოხისა,** თუთუნის მავნებლობის ამცილებელი.
10. **მექანიკ. დასაკეცი მაკრატელი** მშვენიერის ზუდით.
11. და **კიდევ [illegible]00 მეტი სხვა საგულისხმო და სასარგებლო ნივთი.**

სულ, 650 ნივთში, [illegible] მხოლოდ 3 მან. და 90 კაპ. (მხოლოდ საათ ღირს ამ ფასად).
ვინც ერთიდან სამ წყებას მაინც დაიბარებს. გასაგზავნ ხარჯად იხდის 55 კაპ. ციმბირში კი—95 კაპ.
მისამართი: О-ву „Меркурій“ Лодзь, Я. 5. თუ არ მოიწონებთ, ფულს უკანვე დაგიბრუნებთ. წერილები გთხოვთ დასწეროთ რუსულად. Метиль и Ко.
1920 (3—1118—2)

თევზის მრეწველნი
ძმ
ძეგველოვებ
პუშკინის ქ., საკუთარი ს. №
ტელეფონი № 712.

სილამაზე
უმაღლეს
ხარისხამდე!

№4711
F.MÜLHENS

№ 4711
ვარდის ფერი ბროლის
-საპონი-
კანსა და პირი-სახეს ისეთს სინაზესა, განწყობილებასა და ელფერს აძლევს, რომელიც ნამდვილ სილამაზის არსებით თვისებად ითვლება.
ფერდ. მიულგენსი.
პარფიუმერია № 4711.
კიოლნი ნ. რ. რ ი გ ა.
დაარსებული 1792 წ.
ერთი ნაჭერი 25 კ.
ყველგან იშოვება.
Хотил. 28838.
(9.1055.2).

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
✦ წელიწადი მერვე. ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій про п. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე-**
(წ.—1627—34 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.